

რედაქცია: სადოლოკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შად ნოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა— 8 მ., ნახევარ წლისა— 5 მ., სამის თვის— 3 მ., ერთის თვისა— 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფაილი განცხადებისა: დიდი ასო-ები თასოზე 1 კაპი, მცირე ასო-ები ცერით 5 კაპი; მარჯვნივ— 4 კაპი.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამგზავნილი სტატეები. დაუბეჭდელი სტატეები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადნოვის სახლებში, № 33

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дროება“.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა, გ. ი. 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდინ, გაგზავნილთა—სამი მანეთი.

ტელეგრაფები

(ხალხ-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სიძალა, 16 სექტემბერს იაკუბ-ხანი თავის შვილით მოვიდა გუშინ ქუჩაში. ამაღალ 45 კაცი ახლავს და 200 კაცი ჯარი. მძირმა წინათვე ითხოვა, რომ ის შეეშვან ქაბულში, რომლის კარები დაკეტილია. თვითონ ამ ქალაქში ჰსუფევს სრული უწყესობა და არეულობა. დენერალი რობერტსი სამის პოლკით წავიდა დღეს შუტარგარდენისა და მუშისაკენ.

სამართველო

დღიური

* * ჩვენ გვითხრეს, რომ იმ სასწავლებლის ინსპექტორად, რომელიც „თფილისის გუბერნიის დარბ თავად-აზნაურთა შვილების შესაწევნელად“ დაარსებულის საზოგადოებისაგან არის გახსნილი, უფ. შიუკოვის მაგიერად, ამ საზოგადოების კომიტეტს დაუნიშნავს უფ. ივ. მაჩაბელი.

უფ. მაჩაბელს გარდა, რამდენათაც ჩვენ ვიცით, ამ თანამდებობას თხოულა აგრეთვე აღრინდელი პანსიონის პატრონი მუთაისში უფ. ალექსი შიჭინაძე.

ჩვენ გვიკვირს და ვერც გაგვიგია—თუ ხსენებულ კომიტეტმა რატომ მისცა უფ. ივ. მაჩაბელს ამ შემთხვევაში უპირატესობა უფ. ალ. შიჭინაძეზე. რამ-

დენათაც ჩვენ ვიცით, უფ. მაჩაბელს არაღ და არასოდეს არ გამოუჩენია ჯერ თავის პედაგოგიური ცოდნა და ნიჭი, არსად და არაფრით არ დაუტკიცებია იმას, რომ ყმაწვილების აღზრდის საქმის კისრეა შეუძლია, არავის არ უნახავს, არავინ არ იცის, რომ იმას უყვარს ეს საგანი და შეუძლიან შეასრულოს თავის მძიმე მოვალეობა.

სრულებით ამის წინააღმდეგი ითქმის საზოგადოების კომიტეტისაგან დაწუნებულს უფ. ა. შიჭინაძეზედ: იმია მუთაისის პანსიონი, როგორც სწავლის, აგრეთვე აღმინისტრაციულის მხრით, ერთი ჩინებულითაგანი პანსიონი იყო; ოთხი-ხუთა წელიწადია, რაც ის ამ საქმეს ადგია; ყველა, ვისაც იმის პანსიონი და იმისაგან მომზადებული ყმაწვილები უნახავს, იტყვის, რომ იმას უყვარს თავის საქმე, კარგათ შეუწავლია ყმაწვილების აღზრდის მეცნიერება და, რაც ყოველ პედაგოგისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, იმას მოუხერხებია ისე წაყვანა ამ აღზრდასა, ისე დატკრა შაგირდებთან თავისა, რომ ყველა შაგირდებს უყვარს.

არკერთი ეს თვისება არ გამოუჩენია ჯერ უფ. მაჩაბელს. მინ იტყვის, იქნება უფ. მაჩაბელი ნიჭიერი ყმაწვილიც არის, კარგათ ნასწავლიც და კარგი მშრომელიც; მაგრამ ეს არ კმარა პედაგოგისათვის. საჭიროა, თვითონ პედაგოგის მეცნიერების ცოდნა, საჭიროა გამოცდილება, საჭიროა ცოდნა ყმაწვილების მოპყრობისა და სხვა ბევრი ისეთი რამე, რომელიც უფ. მაჩაბელს წინ არ მიუძღვის.

მაშ რისთვის დანიშნეს ის, რისთვის მისცეს იმას უპირატესობა გამოცდილ და დახელოვნებულ პედაგოგის წინაშე?

ბოროტი ენები ამბობენ და ამტკიცებენ, რომ კომიტეტი ამ შემთხვევაში სრულებით არავითარი პედაგოგიური მოსაზრებით არ ხელმძღვანელობდაო, აქ სხვა რამ მიზეზი იყო; და ეს მიზეზი ის არისო, რომ კომიტეტის წევრებმა იცოდნენო, რომ უფ. ივ. მაჩაბელი „ასიაძვენო კანდიდატია“ „ივერიის“ რედაქტორის უფ. ილია შავჭავაძისა, იცოდნენო, რომ ამ პატივცემული ჟურნალის პატივცემულ რედაქტორს ჰსურს, აქ, თფილისში, თავია გვრდით ჰყავდეს თანამშრომელი და სხვ. მართის სიტყვით, ამბობენ, რომ ეს ხათრია საქმეა.

ამის შემდეგ როგორ უნდა ვინაღულოთ უბედური ბედი იმ მაკირდე-

ბნა, რომელთაც რომელიმე კაცს ხათრისა და მეგობრობისათვის უნიშნავენ მასწავლებლებსა და ხელმძღვანელებს...

შეკლავს უფრო ამ საქმეში ჩვენ ის გვაკვირებს, რომ უფ. შავჭავაძევილია და ცხვედაძემა, რომელიც ამ კომიტეტის წევრები არიან და რომელთაც სხეე უკეთ ესმასთ პედაგოგიური მოთხოვნილება ამ გვარის შკოლისა, ვერ მოახერხეს, რომ ეს შეცდომა არ ჩაედინა კომიტეტს...

* * ბათუმელი კორესპონდენტი „თფილისის მოაზრისა“ გვარწმუნებს, რომ მთელი ამ მაზრიდამ ამ ერთის წლის განმავლობაში, უკანასკნელი ათი-თხუთმეტო ათასი კაცი და ქალი მიიწვი გადასახლდა ოსმალეთში და ვინც დარჩნენ, მომეტებული ნაწილი იმათგანაც გადასახლებას ჰფიქრობსო. კორესპონდენტის აზრით, ამ ხალხის შესაჩერებლად საჭიროა, სხვათა შორის, რომ ომისაგან დაღარბებულ ხალხს საქმე გაუჩინოს დროებით მიიწვი მმართველობამ, მაგალითად ზოგიერთ სამსახურში მიიღოს (მილიციაში) ზოგი, გზაზე ამუშავოს და სხვ.

* * ბაქოს გაზეთში იწერებიან, რომ ახალ ტექსტს ეგსპედიციიდან დაბრუნებულ ბევრი ავთმყოფი სალდათები მოჰყავთ ჩვენს ქალაქშიო. მომეტებული ნაწილი სიცხისა და უწყლოობისაგან (წყურვილისაგან) არიან ავთ გამხდარნიო. ისეთს უღანო აღვილებში დგანან ჩვენი ჯარები, საცა ერთე ხეც არ მოიძებნებაო, ზევიდამ მხურვალე მზე აცხუნებს და ქვემოდა კიდევ უფრო გახურებული ქვიშაო.

„დროების“ კორესპონდენცია

ზაქათალის მაზრიდამ, 7-ს სექტემბერს. ჩვენ როგორღაც მივეჩვივენიტ სიჩუმეს, რომელმაც ზედ მოატანა ღრმა ძილი. ძალი, მერწმუნეთ, ცუდი რამ არ არის; იგი არის განცხრომა, ისეთი უტკბილესი განცხრომა, როცა კაცს რაც უნდა ვერ ასატანი კმუნვა ჰქონდეს, ივიწყებს ხოლმე. ჩვენ ვართ აზიელები, და აზიელებია აწინდელი ცხოვრება უფუნურობით არის გავსებული; რამდენათაც ვერაპიენლი მეცნიერებით სარგებლობენ, იმდენად ჩვენ, აზიენლი ჩვენნივე უგუნურობის და სიარვარგინობის



უფლებით ღრამში უსდა ერქვას, გამოხატულია ის დრო რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრებისა, როდესაც ჯერ კიდევ ძლიერი იყო ძველი წიგნი, ძველი წყობილება თავის ძველი ჩინოვნიკებითა და დამკვიდრებულ საზოგადო აზრითა და მიმართულებით. აქ გამოხატულია ის დრო, როდესაც ახალი მმართველების, ახალი აზრისა და რწმუნის კაცები მხოლოდ თითო-ორჯერად ჩნდებოდნენ, თითო-ორჯერად გამოდიოდნენ ასპარეზზე და იწყებდნენ მოქმედებას. ამ „ახალ კაცებს“ მაშინ (ოცი, ოც-დაათის წლის წინად) არ ჰქონდათ რუსეთში არც იმდენი ძალა, არც გამოცდილება, არც მაგალითები და მაგრად ძვალსა და რბილში გამოჯდარი რწმენა, რომ ამ რწმუნებისა და ახალ აზრებისათვის შესძლებოდათ ნამდვილი ბრძოლა, ჯეროვანი წინააღმდეგობა საზოგადო მიმართულებებისა და ცხოვრებისა. იმათი ძალა იყო — სიტყვა; ისინი ქადაგობდნენ, ლაპარაკობდნენ. ისე მრავალნი, ისე ღონიერნი არ იყვნენ, რომ თავის სიტყვა, თავის აზრი საქმედ გაეზარცილებინათ, ეცხვრად და ემოქმედნათ ისე, როგორც იმათი რწმენა და აზრი მოითხოვდა.

მსტროვსკის კომედიაში გამოყვანილია პატარა წრე, რომელშიაც, თითქო მიკროკოზმში — დაბაჟარავებით, გამოხატულია რუსეთის მაშინდელი ცხოვრება.

აქ არიან ჩინოვნიკები (ვიშნევსკი, იუსოვი, ბელაგუბოვი), რომელნიც ძალიან განზე უყურებენ ახალ წიგნს, ახალ კაცებს, რომელნიც გრძნობენ, რომ, თუ ამ ახალ კაცებმა მოიკრიბეს ძალა, მაშინ იმათ ყოველი დიდება, პატივი და, იქნება ლუკმა-პურიც, მოაკლდეთ. აქ არის დედა (ძუკუშკინისა), რომელიც ყველაზე პირველად იმას ცდილობს, რომ როგორმე შიშობროს თავიდან თავის ქალები, როგორმე გაათხოვოს ისინი და სიძეში მხოლოდ ერთ ღირსებას ეძებს — მდიდარი იყოს, რომ იმის ქალი ისე უნაკლულად და უზრუნველად აცხოვროს, როგორც სხვა კეთილშობილები ცხოვრებენ. აქ არიან ახალგაზდა ქალები, „ქისების ბარიშნები“, როგორც მაშინ უწოდებდნენ, შუბილობიანი, უმანკონი, ქმრის იმიტომ მონატრენი, რომ შეიძლონ ბალებში იარონ ფარჩის კაბებითა და ატლასის პოლსაპოჯკებით. აქ არის, ბოლოს, გამოყვანილი თვითის ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, (შადოვი), რომელიც ახალ ცხოვრებას, ახალ მიმართულებას, ახალ წესებს მიეღობის; რომელიც ჰკიცხავს ძველ ცხოვრებას, ძველ აზრებს, რომელსაც პატიოსნათ, თავის შრომით, უქრთამოთ ჰსურს ცხოვრება თავის თავისთვისაც და საზოგადობისთვისაც.

აი ეს დრო, ეს ცხოვრება, ეს ბრძოლა და ამისთანა ხალხი არის გამოხატული „შემოსავლიანს ადგილში.“

ამ გაკვირვებულ მოყვანილს შინაარსიდანაც მიხედვება მკითხველი, რომ ეს კომედია არ არის ისეთი უბრალო, სამასხარო და უაზრო კომედია; რომელიც ჩვენ ხშირად გვინახავს ჩვენს სცენაზე,

რომლის წარმოდგენა მართა მასხარულ სიტყვების წარმოთქმაში, გრენა-მანქაში და სცენაზე ხტუნვაში მდგომარეობს.

ამგვარ ბრძოლია და ტიპების წარმოსადგენად საჭიროა ნამდვილი ნიჭი, მკოდნე აქტიორისა და აქტიორის თამაშობა, აუღ და მჯდარად მოკიდება ხელისა; საჭიროა კარგი მომზადება და სიბიძისიანი შრომა.

ამიტომაც მოუთმენელად მოველოდით ამ პიესის წარმოდგენას ჩვენის ახალგაზდა ტრუპში. აქ გამოჩნდებოდა — თუ რა დრამატიული ძალას შეადგენს ეს ტრუპა, აქედამ მიხედვებით — თუ რა ნიჭებია ამ ტრუპაში, თუ რამდენათ შეუძლიანთ ამათ ნამდვილი ტიპების გამოხატვა და ერთის სიტყვით სერიოზული დრამატიული თხზულების წარმოდგენა.

სამწუხაროთ, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჯერ-ჯერობით ამ ახლანდელ ტრუპისათვის ცოტა არ იყოს ადრეა ამისთანა პიესების წარმოდგენის კისერა. მინამბობს, ჩვენ ახალ ტრუპას ჰყავს იმისთანა ნიჭიერი მოთამაშეები, როგორც ძ. შიფანი, მ. აბაშიძე ძ. მესხი მ. საფაროვისა და ნ. ბაბუნაისი, მაგრამ ხუთ ნამდვილ მოთამაშეს, თუმცა ნიჭიერებს, მაგრამ ამისთანავე ახლებს, გამოუცდელებს ჯერ-ჯერობით არ შეუძლიანთ იმისთანა პიესის წარმოდგენა, როგორც არის „შემოსავლიანი ადგილი.“

ჩვენი აზრის დასამტკიცებლად, ვიტყვიტ მოკლედ თითოეული მოთამაშის ნაკლულეგანებას:

უფ. მაჩაბელი ძველი დარბაისელი ჩინოვნიკის, ღენერლის, როლს სწორეთ ავტომატიით, და არა ცოცხალ აქტიორსავით, არდგენდა; გაშეშებული, სალდათივით ხელგა-ჩამოშვებული დალიოდა სცენაზე და უგულოთ, უსულოთ, უგრძობლათ წამოისროდა სიტყვებს. ვიშნევსკი — ძალაა, იმას ყველა ემორჩილება, ის ბატონობს, ყოველ სიტყვას ისე ამბობს, თითქო ბეჭედს ასვამს, თითქო იმის წინააღმდეგის თქმა არც შეიძლება და ვერც ვერაინ გაბედავს. ამგვარი ხასიათები სრულებით არ ეტყობოდა ვიშნევსკის უფ. მაჩაბლის თამაშში.

ამაზედ უფრო სუსტი იყო იმისი ცოლი, რომელსაც არდგენდა მ. შიფიანი ისა. მ. შიფიანისას ამგვარი დღ-კაცის ქალის როლისათვის არც მიხვრამოხვრა აქვს რიგანი, არც სიტყვა პასუხი შესაფერი და არც თამაში, არ უხდება იმას როგორღაც დღ-კაცის ქალობა სცენაზე. მესუთე მოქმედებაში კი, როდესაც ქმარი უჩვენებს იმის ღალატობის დამამტკიცებელ ბარათს, და აგრეთვე როდესაც ნახავს, რომ იმის ქმარს დამბლა დაეცა, იმისმა წარმოუდგენელმა გულ-გრილობამ გაგვაკვირვა: ცოლს უმტკიცებს ქმარი, რომ მოლაღატა, ცოლს ქმარი უყვდება და ეს ცოლი წარბის შეკრუხვით, უბრალო მღელვარებით მაინც არ გვიჩვენებს, არ წარმოგვიდგენს, რომ ამისთანა გარემოებამ იმაზედ ცოტა მაინც გავლენა იქონია, ცოტა მაინც ააღლენა!

შადოვის როლს ძ. მ. მესხი უფრო მოხერხდა. თივადმე უნდა ვთქვათ, რომ შადოვის როლი თითქმის ამ პიესის ყველა როლებზე უფრო ძნელი სათამაშობა, და თუ კარგი გამოცდილი აქტიორი არ არის, თუ სხვა მოკამათე — მოთამაშეებიც რიგანი არა ჰყავს, ნიჭიერ აქტიორსაც ძალიან გაუჭირდება ყველა იმ ბრძოლისა, მღელვარებისა, გაჭირებისა და სიხარულის, დარღისა და ძწუხნარების გამოხატვა, რომელიც დრამატიურგს გამოუხახავს ამ ყმაწვილ კაცის ტიპში. ძ. მესხს პირველის გამოხვლიდამე შეეცო, რომ ის არ არის გამოცდილი და დახვლოვებული აქტიორი.

ამბობენ, შუთაისის სცენაზე ამან ძალიან კარგათ შეასრულა შადოვის როლიო. არ ვიცით, იქნება მართალია, მაგრამ აქ კი იმას აკლდა სცენაზე ბევრი ისეთი თვისებაები, რომელნიც შადოვის აუცილებელ საკუთრებას შეადგენენ. შადოვს — მოსიყვარულეს — არ ჰქონდა გამოხატული საკმაო ღმობიერება, ბედნიერება და სიყვარულის სხივი სახეზე; შადოვს — მისხანეს არ ჰქონდა ჯეროვანი კეთილშობილური მისხანება; შადოვს — ღელვარეს — არ ეტყობოდა, რომ იმის მღელვარება ხვლოვნური, გაკეთებული არაყო, არ ეტყობოდა, რომ ის მართლა აღშფოთებულია, — მუდამ მტირალის ხმით სიტყვების წარმოთქმა, თმაში ხელების წაფლება არ შეადგენს ბუნებით მღელვარების ხასიათს.

მხოლოდ ერთ ადგილას, მესუთე მოქმედებაში, როდესაც ის მიდის ვიშნევსკისთან „შემოსავლიანი ადგილის“ სათხოვნელად, როდესაც წარმოუდგება თვალ წინ და დაინახავს, რომ იმის უუკეთილშობილეს და უუწმინდეს აზრებსა და რწმენას თვითონაც და სხვებიც ფეხ-ქვეშ სთელავენ, დასციინან, სამასხაროდ იგდებენ, და როდესაც ის თითქო ხელ-ახლად ფრთებს შესისხმს, გრანზე მოვა და წარმოთქვამს თავის მისხანეს, ენერგიულ მონოლოგს ახალ მიმართულების შესახებ, როდესაც ის მაგრად აპირებს დაცვას თავის აზრებისას და ცოლს ეუბნება, შეგიძლიან დედა-შენთან წასვლაო და სხვ. და სხვ., ვამბობთ, მხოლოდ ეს მონოლოგი წარმოთქვა იმან სწორეთ ისე, როგორც ამ გვარ ბრძოლაში და მდგომარეობაში მყოფს შადოვს ეკადრებოდა; მხოლოდ ამ ერთმა მონოლოგმა ცოტა არ იყოს აგვაქრთოლა, ქრუანტელივით გაგვიარა ჩვენ ტანში და აქედამ ვიგრძენით, რომ კარგათ, გრძნობიერად, ენერგიულად იყო ეს მონოლოგი წარმოთქმული. ამ ერთმა მონოლოგის წარმოთქმამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ უფ. ძ. მესხს, თუ კარგათ მოინდომებს, თუ ეცდება, თუ რიგანი ხელმძღვანელი ეყოლება, შეუძლიან და კარგათაც შეუძლიან შადოვის ძნელი როლის შესრულება. მანამ კარგს იქს, რომ ამისთანა როლებს ხელს არ მოჰკიდებდეს.

ძ. შიფიანის ნიჭი, მიხვრა-მოხვრა, ენა, სცენის ცოდნა და სხვა ყველაფერი სრულ ნებას აძლევს, რომ იუსოვისთან-



ნა ძველი ჩინოვნიკის როლი კარგათ ითამაშოს. მაგრამ იმ დღეს კი ამ როლს თითქმის სრულიად დაუკარგა თავის ღაზით და ხასიათი. ჩვენ გვგონია, ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ იმას არც ერთი ნიჭიერი რუსის მოთამაშე არ უნახავს ამ როლში.

შველაზე უნაკლულად, ჩინებულად და არტისტიკულად წარმოგვიდგინა მ. ს. აფაროვი სამ პოლინას, უმანკო, გაუფუჭებელ ქალის როლი. მართი პატარა შენიშვნა ეკადრება მხოლოდ იმას: არ უნდა ცდილობდეს, რომ მაინცა-დამაინც გვაცინოს მაყურებელი. იმ საღამოს ამით იმან ზოგაერთი კარგი, ტრაგიკული ადგილები გაუფუჭა შადოვს.

უ. ფ. ნ. თომასოვილის (ბელაგუბოვი), ნ. ბაბუნასას (პუკუშკინისა), ბ. ქორინთლისას (იულინკა) მაინცა-დამაინც ძალიან არ გაუფუჭებიათ თავიანთი როლები, თუმცა უკეთესი თამაში შეიძლებოდა.

ამ ნაირად, თუმცა მომეტებულ ნაწილ მოთამაშეებმა გვარიანად შეარტულეს თავიანთი როლები; მაგრამ, რადგან უმთავრეს როლების პატრონებმა რიგაიანად და უნაკლულად ვერ ითამაშეს, ამის გამო „შემოსავლიან ადგილის“ პირველი წარმოდგენა გაუფუჭებულ წარმოდგენად ჩაითვალა. ჩვენ დავგრძენია ვინატროთ, რომ მეორედ ამ პიესის წარმოსადგენად უფრო მომზადებულნი და უფრო დახელოვნებულნი გამოასულიყვნენ სცენაზე ჩვენი მოთამაშეები..

განცხადებანი

გამგებელი კომიტეტი თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შემუშავებულთა მოსწავს.

ლეთა შამფოვიკისათვის ამით აცხადებს, რომ 8 სექტემბერს „საზოგადოების“ შკოლაში პანსიონერებად, „საზოგადოების“ ხარჯზედ, მიღებულ იყვნენ:

- 1) ანდრონიკოვი სვიმონი,
- 2) მირზაშვილი არჩილი,
- 3) ბერძენოვი ალიქსანდრე და
- 4) ბერძენიშვილი იასონი.

პანსიონერებად 200 მან. შემოტანით:

- 1) ჩრდილელი მასილი,
- 2) რჩეულოვი ივანე,
- 3) ხერხეულიძე ძონსტანტინე,
- 4) მურმანაივი ლავითი,
- 5) სიციანოვი ილია და
- 6) ანდრონიკოვი ივანე.

მარგდენ უფასოდ მოსიარულედ;

- 1) სომევი ლეონტი,
- 2) ტოლმაჩევი მიხეილი,
- 3) შურცელაძე ზურაბი,
- 4) მალალოვი ძონსტანტინე,
- 5) ხანჯალაძე ბიორგი,
- 6) სულხანოვი ივანე,
- 7) ანანიევი ილია,
- 8) ძობიევი ვლადიმირი,
- 9) ჯორჯაძე დიმიტრი,
- 10) ანანიევი ბიორგი და
- 11) შიფიანი სვიმონი.

ყესი ხვედრი ფულის შემოტანისა არის შემდეგი: პანსიონერებმა 200 მანეთის შემოტანით უნდა წარმოადგინონ 100 მანეთი 1 სექტემბერს, 100 მ.— 1 მარტს; პანსიონერებმა 100 მანეთის შემოტანით უნდა წარმოადგინონ 50 მანეთი 1 სექტემბერს, 50 მანეთი—1 მარტს; ფასით გარედგან მოსიარულედ შევირდებმა უნდა წარმოადგინონ 15 მანეთი 1 სექტემბერს, 15 მანეთი—1 მარტს. თუ აღნიშნული ხვედრი ფული არ შემოიტანეს მარტის და სექტემბრის განმავლობაში, შევირდები იქმნებიან გამოირცხულნი შკოლიდან.

მანც ზემოაღნიშნულ შევირდებთაგანი არ გამოცხადდება შკოლაში დღენობისთვის პირველადინ, იგი გამოირის-

ხება შკოლიდან და იმის უკლებლად მიეცემა.

მ დი ინისა და ხირუ გიის დოქტორი ძიუხარინაცი დაბრუნდა სამზღვარ გარეთილად და იღებს ავთომყოფებს მუდამ დღე დილის 8 საათილამ ვიდრე 10-მდინ და საღამოს 5 საათილამ 7-მდინ.

ღარიბებს ექიმობისათვის არაფერს არ ახდენენებს.

დოქტორი ძიუხარინაცი სდგას: სოლოლაკში, ბაღის (სადოვის) ქუჩაზე, ძქენდიევის სახლებში, № 56.

(5—2)

თელავის უაზღის სოფ. ყვარალში ვიაცევა არანდით სავაული:

ვენახები, სახნავ-სათესი ადგილები, ტყე, სახლი თავის მარნით, წისქვილით და სხვა ყველაფრით მოწყობილი.

დაწვროლებით პირობების შეტყობა შეიძლება თფილისში, ძაქენდანტის ქუჩაზე, არშაკუნის სახლების (ძურუკოვის) გვერდით, ეზოში, ავთანდილოვის სახლებში, № 36.

(5—4)

გამოვიდა და ისყიდება „ცენტრალურ წიგნის მ.ღ.ზიაში“ უ. იონისიანთან

პირველ დაწყებითი სწავლა

ძრისტიანებრივის მართლმადიდებლობითის სარწმუნოებისა.

დ. ოკოლოვისა.

რუსულიდამ გადმოთარგმნილი ბ. დიდებულისისაგან.

შასი სასწავლებელთათვის . . . 50 კ. ხვებთათვის 60 კ.

(4—4)

რბ. გზა.	დ.ილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან კაპ.	მასხანდა	მან კაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი . . .	9 21	5 18	8 კაპ.	8 კაპ.	მ.ცი სიტყვა თფილისილამ		თფილისი 11 სექტემბ.		ძრევენ. მ.ღ., წინამძღვაროვ. სახლი. ავთომყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათილამ 10-დინ.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ძავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	50	უქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	250	მ. რ შ ა ბ ა თ ს: ლისიციევი და პარლევინი—შინაგ. ავთომყოფობის.
ბორი	11 58	9 43	3	1 53	როსტოვს, მ.დესას, მოსკოვს, პეტერბურღს, მარშავ	2	ქვე. წითელი	180	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი შინაგ. ავთომყოფ.; რეიხი—თვალის, შურაგ-
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	მსხალეუში, შვეიცარიაში	2	ბამბა მრეწვისა, ფუთი.	840	ავთომყოფ.; რეიხი—თვალის, შურაგ-
სურამი	1 44		4 90	2 61	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბანტილი ბამბა ფუთი.	10 60	ლევი—ვენერიულის, და კანისა; ბა-
შე რილა	5 49		7 21	3 69	ინგლისში.	3 75	მატყლი თუშური ფუთი.	840	ბოვი—გულისა და შინაგ.
რონი	6 57		8 44	4 31			—მ. რაქამისა ფუთი	4 20	მ თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიციევი—ში-
სამტრედია . .	7 51		9 66	4 93			აბრეშუმი ნუხური სტ.	2 10	ნაგ, ასტუა-ცატუროვი—ქალისა და
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47			მონი ფუთი	5 70	ბავშვების ავთომყოფ.
ფოთი	9 50		12 24	6 26			მონის სანთელი ფუთი.	7 60	ხუთ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში-
ფოთი	9 3				ა) თფილისილამ: სამზღვარ გარეთ, მუთისს, რუსეთს—ოველ დღე კვირის გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მ. ზურ.—პარასკ. და ორშ. ძა-ნეთს—სამშ. და შაბ. ბ) მუთაი-ლიდამ: თფილისის და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირის გარდა. მ. ზურ-გეთს—ორშ. და პარასკ.		სტეარინის სანთელი ფ.	11 80	ნაგ. ავთომყოფ. და შურაგლევი—კანის და ვენერიულის.
ახალ-სენაკი.	10 14		1 53	78			—ცხვისა, ლიტრა		პ ა რ ა რ ა ს კ ე ვ ს ი ქ ნ ე ბ ი ა ნ: ლისი-
სამტრედია . .	11 5		2 61	1 33			სპირტი ვედრო	4 50	ციევი, შინაგ.; ასტუა-ცატუროვი—ვე-
რიონი	12 13		3 84	1 97			შაქარი ბროც. ფუთ	7 35	ნერ. და კანის; ბამბაევი—გულისა და
შვირილა . . .	1 18	დამე.	5 3	2 56			—ფხვინილი ფუთი	5 70	შინაგ. ავთომყოფ.
სურამი	5 12		1 10 7 34	3 74			შავა რევალი გრვ	65	შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი, შინაგ.; შურ-
ხაშური	5 39		1 37 7 51	3 84			ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	15 8	ავლევი.—ვენერ. და კანის რეიხი—
ბორი	7 5		4 8 9 24	4 73			თამბ. ქო. საშუალო ფთ.	6 60	თვალის.
მცხეთა	8 50		6 5 9 11 39	5 82					
თფილისი . . .	9 31		7 5 6 12 24	6 26					